

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ, იმავე „ავვისტოს ომმა“, ახალი გვერდი გადაფურცლა თანამედროვე სახელმწიფოთა თანამეგობრობის ისტორიაში, რომელიც სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის, ძალის გამოყენების ან ძალით დამუქრების აკრძალვის პრინციპებსა და გაეროს წევრ სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობას ეფუძნება. ყველა ეს პრინციპი უხეშად დაარღვია რუსულმა სამხედრო ძალებმა სეპარატისტული ძალების მიერ კონტროლირებად საქართველოს ტერიტორიაზე – აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში – და შემდეგ კი ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე, თითქმის დედაქალაქ თბილისამდე შეჭრით (იხ. დანართი №I).

შეიარაღებული კონფლიქტის პროვოკაცია რუსეთის მხრიდან აშკარა იყო, რასაც მოჰყვა წუთების განმავლობაში ათასობით ჯარისკაცისა და ტანკის, ასობით თვითმფრინავის მიერ საქართველოზე ფართომასშტაბიანი შეტევის განხორციელება, რომლის დროსაც ანადგურებდნენ და წვადნენ მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებს სოფლებსა თუ ქალაქებში, ფიზიკურად უსწორდებოდნენ და ხოცავდნენ მშვიდობიან ქართველებს. ამის სამტკიცებელი მასალა მოიპოვა ორგანიზაცია *Human Right Watch*-მა თანამგზავრიდან მიღებული ფოტოების საფუძველზე. მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება ეთნიკური წმენდა: სეპარატისტულმა რეჟიმებმა, რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით, განდევნეს ქართველები საკუთარი სახლებიდან და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მათ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ფიზიკური შესაძლებლობა წაართვან.

რუსეთი ცდილობს, საქართველოს დააკისროს სრული პასუხისმგებლობა ამ ტრაგედიაზე, ცდილობს, „ახსნას“, რომ იგი იძულებული იყო, „ჩარეულიყო ოსებისა და აფხაზების დასაცავად“, რადგან რუსეთის მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე გენოციდისა და ეთნიკური წმენდის საფრთხეს განიცდიდა 1990-იანი წლებიდან“.

№ I, II და III დანართები დოკუმენტურად ასაბუთებს იმას, თუ ვინ ვისი დახმარებით ახორციელებდა ეთნიკურ წმენდას გენოციდური მეთოდებით აფხაზეთში.

ამ ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნდა სტატია „აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადამწყვეტი როლის შესახებ“. სტატია ნაბიჯ-ნაბიჯ განიხილავს სეპარატისტთა დასაგმობი ქმედებების მთელ პროცესს. სულ ცოტა ხნის წინ, 2008 წლის 29 მაისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაგმო აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდა (A/Res/62/240/29 à y 2008).

ნატოს, ევროკავშირის, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერები სწორად აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ დაიწყო სამხედრო მოქმედებები (ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე საერთაშორისო კომისია მუშაობს), იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს იყო საქართველო, რომელიც საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში მოქმედებდა, არამედ ქართულ-რუსულ კონფლიქტში მთავარი ისაა, რომ რუსეთი გავიდა კონფლიქტური ზონების ფარგლებს გარეთ და მოახდინა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის თითქმის 1/3-ის სამხედრო ოკუპაცია, ეს კი „ძალის არაპროპორციული გამოყენება“ და, ზოგადად, საერთაშორისო სამართლისა და, კერძოდ კი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევაა.

გაზეთ „გარდიანში“ 2008 წლის 1 სექტემბერს გამოქვეყნებულ მოკლე, მაგრამ ძალზე არგუმენტირებულ სტატიაში – „მგელი, რომელმაც საქართველო შეჭამა“ – საერთაშორისო სამართლის ცნობილი ექსპერტი, ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორი, ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის პირველი პრეზიდენტი, შემდგომ კი დარფურში გამოძიების საწარმოებლად შექმნილი გაეროს კომისიის თავმჯდომარე, ანტონიო კასესე აღნიშნავს, რომ რუსეთის ყველა მცდელობა, ბრალი დასდოს

საქართველოს, კრიტიკას ვერ უძლებს იმ საკითხის ჩათვლით, რომ მან დაარღვია საერთაშორისო სამართალი, რადგან „საკუთარი შეიარაღებული ძალების სამხრეთ ოსეთში გაგზავნით საქართველომ, ეჭვგარეშეა, პოლიტიკურად გაუაზრებელი ნაბიჯი გადადგა, თუმცა მას არ დაურღვევია არც ერთი საერთაშორისოსამართლებრივი ნორმა, მიუხედავად იმისა, რამდენად ნომინალური იყო მისი სუვერენიტეტი (სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე – ლ.ა.). ყველაფრიდან გამომდინარე, არ მომხდარა არც გენოციდი, არც ეთნიკური წმენდა; თუ სამხედრო დანაშაულები არის ჩადენილი, ეს მაინც ვერ ამართლებს სამხედრო ინტერვენციას“.

დღეს კი რუსეთი გულმოდგინედ ცდილობს, გაამართლოს საკუთარი ქმედებები საერთაშორისო სამართალზე მითითებით, არ დაუშვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ევროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებლები, უარს აცხადებს შეიარაღებული ძალების იმ პუნქტებამდე გადაყვანაზე, სადაც ისინი განლაგებულნი იყვნენ კონფლიქტის დაწყებამდე, ანუ 6 აგვისტომდე. განცხადება იმის თაობაზე, რომ ევროკავშირის ექვსპუნქტიანი შეთანხმება რუსეთთან თითქმის შესრულდა, საფუძველს მოკლებულია, რადგან რუსეთმა მოახდინა საკუთარი ძალების კონცენტრირება აფხაზეთის ა/რ-ისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, ანუ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში.

რუსეთი არ დააბრკოლა იმან, რომ აფხაზეთის ა/რ-ისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის *de jure* აღიარებამ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, რომელმაც უარი განაცხადა ამ რეჟიმების აღიარებაზე, ცალსახა გააკიცხვა გამოიწვია. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმაც კი არ მოახდინეს რეაგირება მოწოდებაზე, ეღიარებინათ „საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტები“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პირობებში. რუსეთი კიდევ უფრო შორს წავიდა – რეჟიმებთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები გააფორმა, თითოეულ რეგიონში დაახლოებით ოთხი ათასი ჯარისკაცი განათავსა და ამ რეგიონების დაჩქარებულ მილიტარიზაციას ახორციელებს. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რუსეთი ომისთვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა, და რომ არა პირველ ეტაპზე ევროკავშირის გადამწყვეტი მოქმედებები, რამაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმება გამოიღო შედეგად, აგრესიის შედეგები, შესაძლოა, უფრო ტრაგიკულიც ყოფილიყო.

ჟურნალის ეს ნომერი ძირითადად რუსეთის ქმედებების საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტებისა და აგრესორის კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენისადმი არის მიძღვნილი.

სამწუხაროდ, ქართულ-რუსული კონფლიქტის შედეგად ნათელი გახდა ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებს ხელს უშლის სიტუაციაზე ეფექტიანად და სწრაფად რეაგირებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონფლიქტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია ჩარეული. სწორედ ვეტოს უფლების არსებობის პირობებში ვერ მოახერხა გაეროს უშიშროების საბჭომ ადეკვატური ზომების მიღება აგრესიის შესახერხებლად; ეუთოს კი სწორედ იმ წესმა შეუშალა ხელი მასზე დაკისრებული მისიის განხორციელებაში, რომელიც გადაწყვეტილების კონსენსუსის წესით მიღებას გულისხმობს, რადგან რუსეთმა დაბლოკა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

ძალის გამოყენება, ამ ძალის მიმართვა გაეროს წევრი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოსაყოფად, სეპარატისტული რეჟიმების *de jure* დამოუკიდებლობის აღიარება და მათ მიერ კონტროლირებული ტერიტორიების რუსეთის სამხედრო პლაცდარმებად გადაქცევა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის მინიმალურ პრინციპებს.

სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობას მსოფლიოს ერთ-ერთი ფინანსურად და სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი სახელმწიფოს მხრიდან მიღებული აქვს უდიდესი გამოწვევა, რომელიც სთავაზობს „ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას, რეალობიდან გამომდინარე“. მოახერხებს თუ არა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი ნამდვილი

დემოკრატიული საერთაშორისო მართლწესრიგი, გაუძლოს უხეში ძალის ზეწოლას, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. უკანონობამ კანონის ძალის დაჯახება ვერ უნდა მოახერხოს.

*პროფესორი ლევან ალექსიძე
მთავარი რედაქტორი*